საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 194

16 03 2017წ.

ქ. თბილისი

უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის მენეჯერის 2017 წლის 14 მარტის №242368 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ" და „ნ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დებულება დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2015 წლის 01 სექტემბრის №716 ბრძანება.
3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე